

განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების შეუსაბამობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის ნორმებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის ძალაში შესვლის შემდგომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია საკრებულო და გამგეობა (მერია). მუნიციპალიტეტი კი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს. გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტიდან, სადაც ჩამოთვლილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ამოღებულია „გ“ ქვეპუნქტი („მუნიციპალიტეტი“).

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.